სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/225

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2022 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობებზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად, სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარედგინოს რექტორს წინადადება 4 წლის ვადით უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის (პროფესორი) დასაკავებლად 2023 წლის 17 იანვრიდან ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე.
2. დამტკიცდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი, შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები დანართი 1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი განცხადება, საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.
4. საკონკურსო კომისია და სამდივნო შეიქმნას 2023 წლის 16 თებერვლამდე.

5. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2023 წლის 17 თებერვლიდან და გაგრძელდეს 22 თებერვლის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 17:00 საათამდე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში.
6. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის თაობაზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად განცხადებების შეტანის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 13 თებერვლის ჩათვლით.
7. კონკურსი ჩატარდეს 2023 წლის 27 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2023 წლის 06 მარტს საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.
8. კონკურსთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიაში განცხადებების/საჩივრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 06 მარტიდან 09 მარტის ჩათვლით.
9. აკადემიურ საბჭოში კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 15 მარტი.
10. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gtu.ge არა უგვიანეს 2023 წლის 16 მარტისა.
11. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება დაიდოს კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.
12. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და ,,აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად.
13. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
14. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**